**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

05 ივნისი, 2026 წელი

# ბრძანება № 01-02/103

**ბსუ-ს პროფესიულ** საგანმანათლებლო პროგრამაზე **,,საფინანსო სერვისები" 2026 წლის შემოდგომაზე ჩარიცხვისათვის** აპლიკანტთა შეფასების ადგილის, თარიღისა და კომისიის შემადგენლობის **განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების, ,,2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **მინისტრის 2026 წლის 17 აპრილის** MES 5260000447700 **ბრძანების,** ,,2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **მინისტრის 2026 წლის 17 აპრილის** MES 1260000447805 **ბრძანების,** ,,აპლიკანტის მიერ, 2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის შემთხვევაში, აპლიკანტისათვის რეიტინგში მისი ადგილის შესახებ (რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთის, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება, არჩევის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **მინისტრის 2026 წლის 17 აპრილის MES** 0260000447804 **ბრძანების,** ,,2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის **2026 წლის 17 აპრილის** MES 7260000447784 **ბრძანების, ,,2026 წელს** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **მინისტრის 2026 წლის 17 აპრილის** MES 2260000447707 **ბრძანების,** ,,2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **მინისტრის 2026 წლის 17 აპრილის** MES 1260000447779 **ბრძანების,** ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საფინანსო სერვისები" 2026 წელს მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 11 მაისის №01-02/86 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 03 ივნისის №661320 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

*ბრძანებ:*

1. 2026 წლის შემოდგომაზე ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე **„საფინანსო სერვისები“** ჩარიცხვის მიზნით <u>დამტკიცდეს აპლიკანტთა შეფასების ადგილი და თარიღი,</u> წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად, ხოლო აპლიკანტთა შეფასების და შეფასების პროცესის ადმინისტრირების მიზნით შეიქმნას **შეფასების** (აპლიკანტთან მოტივაციური გასაუბრების) და **სააპელაციო კომისია,** წინამდებარე ბრძანების **№2 დანართის** შესაბამისად.
2. მოტივაციურ გასაუბრებაზე დასასწრებად აპლიკანტმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი (დაგვიანებული კონკურსანტი მოტივაციურ გასაუბრებაზე არ დაიშვება).
3. აპლიკანტთა შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებული საპრეტენზიო განცხადებების (აპელაცია) მიღება მოხდეს შეფასების (მოტივაციური გასაუბრების) ჩატარებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, 11:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით.
4. საპრეტენზიო განცხადებაზე (არსებობის შემთხვევაში) პასუხი მომზადდეს საპრეტენზიო განცხადების შემოსვლიდან 2 სამუშაო დღეში და ეცნობოს აპლიკანტს (აპლიკანტის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'' და ასევე იურიდიული ცნობარის ველში ,,რექტორის ბრძანებები“) და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის და ბსუ-ს კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

**ბსუ-ს რექტორი** **ტიტე არუშიძე**

,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საფინანსო სერვისები“ 2026 წლის შემოდგომაზე ჩარიცხვისათვის აპლიკანტთა შეფასების ადგილის, თარიღისა და კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“

**ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 05 ივნისის №01-02/103 ბრძანების**

**დანართი №1**

სუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საფინანსო სერვისები“ **2026 წლის შემოდგომაზე ჩარიცხვისათვის** აპლიკანტთა შეფასების (მოტივაციური გასაუბრება) ადგილი, თარიღი და დრო

| № | ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | აპლიკანტის შეფასების ფორმატი | შეფასების თარიღი და დრო | შეფასების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1. | საფინანსო სერვისები | მოტივაციური გასაუბრება | 15.06.2026 წელი 11:00 საათიდან | ქ. ბათუმი, ლეონიძის ქუჩა №15, მესამე სართული, აუდიტორია №305 |

,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საფინანსო სერვისები“ 2026 წლის შემოდგომაზე ჩარიცხვისათვის აპლიკანტთა შეფასების ადგილის, თარიღისა და კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“

**ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 05 ივნისის №01-02/103 ბრძანების**

**დანართი №2**

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საფინანსო სერვისები“
2026 წლის შემოდგომაზე ჩარიცხვისათვის **აპლიკანტთა შეფასების** (მოტივაციური გასაუბრების) **კომისიის შემადგენლობა:**

**ბადრი გეჩბაია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
**ლელა ვერძაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი;
**თათია სეფერთელაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი;
**შორენა ჩავლეიშვილი** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
**ვერა ძველაია** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი;

**ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საფინანსო სერვისები“**
2026 წლის შემოდგომაზე ჩარიცხვისათვის **აპლიკანტთა შეფასების** (მოტივაციური გასაუბრების) შედეგზე აპლიკანტის პრეტენზიის განმხილველი
**სააპელაციო კომისიის შემადგენლობა:**

**თამარ სირაძე** - ბსუ-ს რექტორის მოადგილე;
**გიორგი აბუსელიძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საფინანსო სერვისები“** პროგრამის ხელმძღვანელი, განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
**ვერა ძველაია** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი;